

**ენის წილის მესაიდუმლო
(რევაზ ინანიშვილის პროზის მხატვრული
თავისებურებისათვის)
SECRET-KEEPER OF THE DEPTHS
OF LANGUAGE (ARTISTIC FEATURES
OF REVAZ INANISHVILI'S PROSE)**

მარინა კაცარავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Marina Katsarava

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

ABSTRACT

Revaz Inanishvili has an important position in the history of the 20th century Georgian literature. His artistic language is distinguished by rare sophistication that attracted vivid interest of literary circles from the very start. When referring to him, modern literary criticism was generous in the use of epithets such as: “having excellent knowledge of Georgian”, “a secret-keeper of the depths of the language”, “nourishing the soul of the young”, “thought-provoking”, “inspiring kindness” and so on.

The language and the style of Revaz Inanishvili’s works have long been a focus of study among linguists. The nature of his language is distinctive. Through written expression, the feelings and the passion of characters are made explicit with incredible skill.

R. Inanishvili is a master of laconic phrases, elegant and smooth dialogues. The majority of his works are constructed through dialogic speech. For instance, the short story “The Bird Hibernator” is entirely narrated through dialogic speech which should be considered to be the writer’s active stylistic expressive means.

The use of elliptical constructions is one of the features of R. Inanishvili’s language, being consciously applied by the author in character dialogues. In this respect, the novella titled “King Erekle and the Charmless of Ananuri” is distinguished where, by means of a dialogue, the author presents two characters who are strong in spirit and are determined by inner dramatism such as great king and thirteen- or fourteen-year-old boy who is overwhelmed with love for his motherland.

R. Inanishvili’s creative works are marked by a sense of proportion. Author’s narration is not overburdened by dialectisms, barbarisms, etc. When unfolding dialogic speech of the young, the author appropriately applies the forms typical to the dialect area such as ka (Woman!), go (Girl!), kalo (Wife! Woman!), dedakaco (Woman! Wife!) and so on. Besides, when addressing another person, terms of endearment and

diminutive forms of proper nouns, and nicknames occur. Characters' speech differs from author's narrative.

Revaz Inanishvili is a master of a distinct writing style. His prose is interesting from both artistic and language perspective.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, რევაზ ინანიშვილის პროზის ენობრივი თავისებურება, მწერლის ენა, დიალოგური მეტყველება.

Keywords: Georgian literature, linguistic peculiarities of Revaz Inanishvili's prose, writer's language, dialogic speech..

მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში რევაზ ინანიშვილს გამორჩეული ნიჭიერებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი მხატვრული ენა იშვიათი გემოვნებითა და დახვეწილობით გამოირჩევა, რითაც მან ლიტერატურული საზოგადოების ცხოველი დაინტერესება იმთავითვე გამოიწვია. მის შესახებ თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკამ არ დაიშურა შესაფერისი ეპითეტები: „ჩინებული მოქართულე», „ენის წიაღის მესაიდუმლე», „მოზარდთა სულის დამაპურებელი», „ფიქრთა აღმძვრელი», „სიკეთით აღმძვრელი» (დ. თევზაძე, ჯ. თითმერია, აკ. ბაქრაძე, ვ. კოტეტიშვილი).

რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებების ენა და სტილი კარგა ხანია ენათმეცნიერთა კვლევის საგანია (ელ. კომორიძე, ზ. ჭუმბურიძე, ნ. ჭოხონელიძე...).

მწერლის ფრაზა ბუნებრივია და მოქნილი. იგი პერსონაჟის დახასიათების დიდოსტატია.

რევაზ ინანიშვილის ენობრივი სამყარო თავისებურია და განუმეორებელი; მისთვის ენა განსაკუთრებულად ფასეული ფენომენია.

მწერალი კარგად იცნობს თავისი ნაწარმოების გმირების ბუნებას. მას საოცარი უნარი აქვს გადმოსცეს პერსონაჟთა ადამიანური განცდები და ვნებები, რასაც იგი უმეტეს შემთხვევაში დიალოგური მეტყველებით ახერხებს.

პერსონაჟების მეტყველების ნაირგვარობა რევაზ ინანიშვილის ნაწარმოებებში შემთხვევითი არ არის. „ქართულ დიალოგურ მეტყველებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსაუბრეთა სოციალური მახასიათებლები, სოციალური როლი ან სტატუსი, ასაკი, განათლების დონე, სოციალური მდგომარეობა, თანამდებობა ან წარმომავლობა (ზექალაშვილი 2012: 190).

მართლაც, მწერლის პერსონაჟების დიალოგურ მეტყველებაში დასტურდება კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი, რასაც ხელს უწყობს ქართული მენტალიტეტი. მაგალითად, მომაკვდავი ჩაჩაური, თავმომწონე, სიკვდილის წინ ფიქრობს თავის ღირსებაზე, ემშვიდობება უახლოეს ადამიანებს:

- „ - ხო არ გავფუჭდი, წაქავ?
- არა, არ გავფუჭებულხარ, ჩაჩაურო.
- უსაკადრედო ხო არ მივდივარ, წაქავ?
- არა, კარგად მისდიხარ, ჩაჩაურო!
- სისხლი არავისი მიმდევს.
- არავისი ჩაჩაურო!
- სამდურავიც არავის მიმდევს.
- არავისი ჩაჩაურო.
- ვალიც არავისი მიმყვება.
- არავისი ჩაჩაურო.
- ორი ლატანი გამოვართვი, დათვიას მიეცით.
- მივცემთ, ჩაჩაურო.
- ნამდურავიც არავინ დამრჩეს!
- არ დაგრჩება!“ („ჩაჩაურის წასვლა“. ინანიშვილი 2019: 47).

ამგვარი ნიმუშებიდან ჩანს, თუ როგორი ოსტატობით გვიხატავს მწერალი პერსონაჟის ბუნებას თავისივე მეტყველების საშუალებით.

რ. ინანიშვილის ენის ერთ-ერთი თვისება ელიფსური კონსტრუქციების გამოყენებაა, რასაც იგი შეგნებულად მიმართავს პერსონაჟთა დიალოგის დროს. ეს კი განსაკუთრებულად გამოკვეთილია მის ნოველაში „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“:

„მეციხოვნებმა ბიჭს ხელი გაუშვეს, ბიჭი წამოდგა, შარვალი მიიწ-მოიწია, მტვერი ჩაიბერტყა. ერთმა მეციხოვნემ დაძენძილი ნაბდის ქუდი მიაწოდა.

- სადაური ხარ?
- აქაური.
- რომლისა?
- მზევარისა.
- რა გინდა მეფესთან?
- პირადად უნდა მოვახსენო
- გაჩხრიკეთ!“ (ინანიშვილი 2019: 73).

ამის შემდეგ მწერალი კონტრასტის ხერხზე აგებულ პერსონაჟთა მეტყველებას გვიჩვენებს, რაც უფრო ამძაფრებს პერსონაჟთა ხასიათების გამოხატვას:

„- დამშვიდდი, ნურაფრისა გეშინია, შვილო, - თქვა მეფემ წყნარი, ბზარგარეული ხმით.

- მე არაფრის მეშინია, მეფევ!
- აბა, რა გიჭირს, რამ შეგაწუხა, შვილო?

- თათრები არ უნდა მოგვრეოდნენ, დიდო მეფევ, თათრები ჩვენი მომრევეები არ არიან! მდიდრები გლალატობენ მეფევ! მდიდრებს რატომ ენდობი, დიდო მეფევ! მდიდარს შენი ქონება რჩება. ძვირფასი რამეები რჩება. მდიდარი ბრძოლაში თავს რად დასდებს! ომში ჩვენ უნდა წავიყვანოთ, ობლები, უქონლები, ულამაზოები, გაჭირვებაში გამოჩქილები“ (ინანიშვილი 2019: 75).

აშკარაა, რომ მწერალმა ამდიალოგით გვიჩვენა შინაგანი დრამატიზმით შეპირობებული, ღრმად პიროვნული სულისკვეთებით დამუხტული ორი პერსონაჟი - დიდებული მეფე და სამშობლოს სიყვარულით ანთებული ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი.

რ. ინანიშვილის ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია მოთხრობა „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება», რომელიც გამოირჩევა მკვეთრად ხაზგასმული ემოციური შინაარსით. ამ ნაწარმოებში ჭარბობს დიალოგური მეტყველება, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას. აქ წარმოდგენილ დიალოგებში კარგადაა წარმოჩენილი სოციალური როლები. საუბრობენ დედა და შვილი, მეგობრები, ჩანს მათი ასაკი, სქესი.

„ე, ელენე! - ამომახა ზაზამ გაკვირვებით.

უიმე! - სწრაფად ამოიღო პალტოს ჯიბეებიდან ხელები ლილიმ, მოეხვია, აკოცა და ერთხანს ასე იდგნენ - ლოყა ლოყაზე მიდებულნი.

„- ჩექმები აღარ გაცვია?

- იქ დავტოვე.

- მართლა ჩექმები გაცვია ხოლმე? - შიშით გაუდიდდა თვალები ლილის.

- აბა, მაშ როგორ?

- არ გამაგიჟო! დიდი, მძიმე ჩექმები?

- აბა, მაშ რა! - სოფელია, ტალახი.

- მერე არ გიჭირს თრევა? - შეწუხდა დიდი“ („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. გვ. 172).

სწორად შერჩეული დიალოგური მეტყველება კიდევ უფრო ამყარებს რევაზ ინანიშვილის შემოქმედებითი ნიჭის თავისებურებას.

ამ ნაწარმოებში მთავარი მოქმედი გმირები ქალები არიან. ისინი განსხვავებულნი არიან ასაკის, განათლების მიხედვით, მაგრამ მათი მეტყველება თითქმის ერთნაირია - ფრთხილი, თავშეკავებული, ემოციური ლექსიკური ერთეულებით გაჯერებული:

„- ელენე ხარ?

- ხო, მე ვარ, ნუ ჩქარობ. ცოტა ძირს დასწიე და ისე გადაატრიალე.

- გატიალდეს, აჰა!

კარი გაიღო.

- გენაცვალოს დედა, შვილო!

- რა გატირებს, ქალო, მოვედი, ხომ არ მივდივარ სადმე.

- დედა მოგიკვდეს შენ, როგორა ხარ გაყინული.

- და ქალო, რა მაქვს სატირალი, თინა სად არის?

- თინა ახლა გავიდა ეთერისთან. იქ თუ გიდგას ფეჩი?

- ფეჩიც მიდგას და ღუმელიც. ეს რა არის, როდის გადაიღეს (იქვე: 175).

ეს დიალოგი გამოირჩევა მოკლე სიტყვა-პასუხის სიხშირით.

რ. ინანიშვილის გმირები ხშირად ხალისით საუბრობენ, უზიარებენ ერთმანეთს გულისტკივილს, შეხედულებებს. მწერალი ასეთი მეტყველების დროს არ ერთდება დიალექტიზმების, ბარბარიზმების გამოყენებას. პერსონაჟთა მეტყველება დიფერენცირებულია ავტორის თხრობისაგან.

„ელენემ სავარცხელი დადო და ხალათი შემოიცვა.

- სუფი გვაქვს, შვილო, ცხელი.

- სუფი კი არა, რაც გინდა ის იყოს. საშინლად მომშივდა, რატომ არაფერი არ ვიყიდე, რომ ამოვიარე?

- ხელფასი აიღე?

- ხო.

- ოლიას გოგო როგორა ჰყავს?

- კარგად, ისე იღრიჭება მაიმუნი. შენ გკითხულობს ხოლმე, შემოვა და დაგემებს, ძალიან უყვარხარ.

- ვინმე ხომ არ ყოფილა ჩემი ამხანაგებიდან?

გულმა ბაგაბუგი დაუწყო; მოეჩვენა, რომ დედამ გაიგონა ეს ხმა (ინანიშვილი 2019: 177).

სიუჟეტის, გარემოს, სიტუაციის უკეთ გადმოსაცემად დიალოგს მწერალი ოსტატურად იყენებს:

„დედას არაფერი უთქვამს, დედას გაკვირვებული, შეშინებული თვალები ჰქონდა და ნაძალადევად იღიმებოდა.

- წადი, შვილო, სადაც გინდა, იქ წადი!

კიბე ჩაირბინა. ძირს, ეზოს ონკანზე მარგო რაღაცას რეცხავდა. მიიხედა და გაუღიმა.

- ოხ, учительница როგორ ხარ? ახლა ჩამოხვედი?

- ახლა ჩამოვედი გენაცვალე, მარგო, უკაცრავად, მეჩქარება, ხომ კარგად ხარ? მამა როგორ არის? საავადმყოფოში ხომ არ დაწვა?

- არა ჯერჯერობით თავს იკავებს.

- კარგად იყავით, მარგო, გენაცვალე, უკაცრავად, ასე შორიდან რომ გკითხულობთ!“ („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. გვ. 181).

რ. ინანიშვილის პროზისათვის ნიშანდობლივია მხატვრული სახის რელიეფურად გამოკვეთა. ახალგაზრდების დიალოგურ მეტყველებას მწერალი ოსტატურად მიმართავს, რათა უკეთ დაახასიათოს პერსონაჟები, რომელთაც ახასიათებთ მიმართვების მრავალფეროვნება, მეტსახელთა გამოყენების სიხშირე:

„- ე აზიზო, დიდი ხანია რაც ასდექი?

ბიძინა ჩამოხდა და გვერდზე გადავარდნილი ქუდი დაიხურა.

- სადა ჰყოფილხარ?

- ერთი ათი კონა ძემვი მოვჭერი აგე იქა...

- ბიჭო, რა გინდა, რატომ დაგიდის გაშვებული ეს შენი ბრუტიანი ცხენი?!

- სადღა მყავ ცხენი, მაიმუნო რა უყავი?

- აბა, უყავი?“ („ბარისაკენ მოფრინავს ჯაფარა“. გვ. 300).

რ. ინანიშვილი არასოდეს ტვირთავს პერსონაჟების მეტყველებას დიალექტიზმებით. მათი გამოყენება ყოველთვის მიზანდასახულია.

„აქედანვე თუ წამოუწექი მეშოკებსა და გოდრებს, მთელ შენ სიცოცხლეში ვეღარ მოიცილებ. ეს მაგას ეხერხებაო და შინაური იქნება თუ გარეული, ყველა შენ აგვიდებს.

- რა არის ქალო, ე ჩემთვის, – ტომარას ხელი წამოჰკრა გოგომ – მე ეხლა გაქმუებულ კამეჩს დავიჭერ რქებით“ („თინა და სანდრო“. გვ. 252).

ან კიდევ:

„გადმოვიდეს თვითონ ის მანქანა, რა მოხდება?“

- არ გადმოვა, ისეა გაუვიზინებელი ეგ ფეხებდაბრეცილი სეირანა, არ გადმოვა, დვას რაიკომის მდივანივით და ბარგი რომ გსრესავდეს, ხელს ზურგიდან არ გამოიღებს» (იქვე: 245).

რ. ინანიშვილისათვის დამახასიათებელია ზომიერების გრძნობა. იგი მწერალს კარნახობს, ზუსტად შეარჩიოს დიალექტურ მეტყველებაში მიმართვის ფორმები.

პერსონაჟთა მეტყველებაში ხშირად საკუთარ სახელს იყენებს კნინობით-ალერსობითი ფორმით:

„მერე ეგ კატკას გამოიძახებს“ („ცისფერი გორგალი“. გვ. 105).

„მე რა შემიძლია? მითხარი ელიკო, ჯიგარო!“ („ვიღაცას ვტობუსზე აგვიანდება“. გვ.183).

„ო, ელიჩკა, გამარჯობა შენი“ (იქვე: 195).

„ჰო, თინა ვარ, საშიკო“ („თინა და სანდრო“. გვ. 258).

მწერალი მიმართვებად გამოყენებულ სახელებს გარკვეულ ფუნქციას ანიჭებს. კერძოდ, მარტო ყურადღების მისაპყრობად კი არ წარმოითქმის, არამედ გამოხატავს ნეგატიურ ან პოზიტიურ ემოციებს:

„ქალებო, ქვეყნის ჭრელო თვალებო! აბა შინისაკენ“.

„მანან, ყრუო! მანან! - ხმაში ბრაზი ემატებოდა ბრიგადირს“ („ჩიტუნისა ლოცვა“. გვ. 243).

„გამაგრდი ბაიყუშო, ახლა გამაგრდი“ („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. გვ. 203).

„ეგო, მაიმუნო! ოხერია, ხო იცით“ („ტიტები“. გვ. 55).

მართალია, რ. ინანიშვილი არ ტვირთავს დაილოგურ მეტყველებას დიალექტიზმებით, მაგრამ მიმართვის დროს ხშირია დიალექტური არეალისათვის დამახასიათებელი ფორმები: ქა, გო, ქალო, დედაკაცო...

„დაიკარ ორიანი, ბუკი?“ („შორი თეთრი მწერვალი“. გვ. 80).

„შენა, გოგო, რას გეტყვი იცი?“ („მირანდუხტ“. გვ. 215).

„რას მაიმუნობ, ბიჭო“ („შეშაზე“. გვ. 226).

„იჯექი, ქალო, ამის პატრონიც ჩახმა“ („თინა და სანდრო“. გვ. 242).

„რა მოგივიდა, ქალო“ (იქვე: 245).

„ჩქარათ, ქა, რა ახალამდგარი პატარძალივით მოსეირნობ“

„ემაში ქა ემაში ორი მანეთი! (იქვე: 246).

ამკარაა, რომ მწერალი დიალოგურ მეტყველებაში იყენებს გარკვეულ ეტიკეტურ ფორმულებს, რათა უკეთ წარმოაჩინოს პერსონაჟის განწყობილება, ხასიათი:

„გენაცვალოს დედა, შვილო“ („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. გვ. 175).

„დედა მოგიკვდეს შენ, როგორა ხარ გაყინული“ (იქვე).

„ელიკო ჯიგარო, ჩემი თავი მოგიკვდეს (იქვე: 183).

„არ გინდა, გენაცვალე, ზაურ წადი“ (იქვე).

„მოგწყდა ეს ხელი“ („ფერმა მთაში“. გვ. 13).

როგორც პროფ. რ. ზექალაშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, ქართული დიალოგური მეტყველების შესწავლა ფრაგმენტულ და არათანმიმდევრულ ხასიათს ატარებს. ვფიქრობთ, გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებების შესწავლა ამ მიმართულებით სტიმულს მისცემს შემდგომ კვლევებს.

რაც შეეხება რ. ინანიშვილს, იგი მართლაც ლაკონური ფრაზის, სხარტი, გამართული დიალოგების დიდოსტატია. მისი ნაწარმოებების უმრავლესობა დიალოგურ მეტყველებაზეა აგებული. მაგალითად მოთხრობა „ჩიტების გამოშამთრებელი« მთლიანად დიალოგური მეტყველებითაა გადმოცემული. რაც მწერლის აქტიურ სტილისტიკურ-გამომსახველობით საშუალებად უნდა მივიჩნიოთ.

აქვე მოთხრობის სიჟუეტსაც უნდა შევხვით. იგი უაღრესად აქტუალურია სწორედ დღევანდელი საზოგადოებისათვის, რადგანაც აღწერს მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულებას. მწერლისათვის მიუღებელი იყო ის აღმზრდელობითი მეთოდები, რომელთაც რამდენიმე ათეული წლის წინ არავინ არ ეხებოდა, რადგანაც გამართლებულად მიაჩნდათ.

რ. ინანიშვილის მოთხრობა სულისშემძვრელ შთაბეჭდილებას ტოვებს გამორჩეული მხატვრული აზროვნებითი სტილით. მართალია, იგი განსხვავებული ხელწერის ოსტატია, მაგრამ მაინც მიმაჩნია დიდი ნიკოლორთქიფანის ლიტერატურულ მემკვიდრედ.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2013: გოგოლაშვილი გ., ქართული სალიტერატურო ენა. ნარკვევები. თბილისი, 2013.

ზექალაშვილი 2012: ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება. თბილისი, 2012.

ინანიშვილი 2019: ინანიშვილი რ., შორი თეთრი მწვერვალი. თბილისი, 2019.

კოშორიძე 2005: ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები. თბილისი, 2005.

ბიძიგური 1963: ბიძიგური შ., ენა და ლიტერატურა. თბილისი, 1963.

ჭობონელიძე 2014: ჭობონელიძე ნ., იდიომები რ. ინანიშვილის ენის მიხედვით. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბილისი, 2014.

ჯორბენაძე 1981: ჯორბენაძე ბ., ბალავარი მწერლობის. თბილისი, 1981.